



გალტ & თაგარდი
შპს-ით შესაძლებლობებს



ნედლეულის ბაზრის კვარტალური მიმოხილვა

2 ივლისი 2025




ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge

სერგი ყურაშვილი, CFA

ფინანსური ბაზრების ასოცირებული მკვლევარი | s.kurashvili@gt.ge





ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, კვ/კვ*	ცვლილება, 2025 წლის დასაწყისიდან	ფასი 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	230.0	+1.1%	+5.0%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	67.6	-9.5%	-9.4%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	10,050	+4.1%	+16.2%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,055.0	-8.7%	-12.4%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,499.8	+2.8%	+11.5%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	3,303.1	+5.7%	+25.9%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მცტ სთ	37.3	-15.9%	-28.8%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	219.0	-11.7%	-5.2%	

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: ფასები მოცემულია 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

*კვ/კვ გულისხმობს კვარტალის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერგეტიკა

ნავთობი

ნავთობის ფასი 9.5%-ით შემცირდა 2კვ25-ში, პერიოდი კი მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდებოდა. აპრილის დასაწყისში და მაისის პირველ კვირაში ფასი თითქმის 20%-ით შემცირდა და ბარელზე \$60-მდე ჩამოვიდა, რაც ორი წლის მინიმუმი. კლება განაპირობა სუსტმა მოთხოვნამ (განსაკუთრებით ჩინეთში) და მოლოდინმა, რომ OPEC+ ზაფხულისთვის წარმოებას გაზრდიდა. აშშ-ის მიერ აპრილში შემოღებული ტარიფები და სავაჭრო გაურკვევლობაც ბაზრის განწყობაზე უარყოფითად აისახა.

მაისის ბოლოსთვის ფასმა ზრდა დაიწყო. სავაჭრო ომის შიშების შემცირებამ და გლობალური მარაგების მცირე კლებამ ფასების ზრდას შეუწყო ხელი. ივნისის შუაში ყურადღება გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ მიიპყრო: ისრაელსა და ირანს შორის სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, რასაც ირანის ბირთვულ ობიექტებზე აშშ-ის იერიშები მოჰყვა. ამის ფონზე ნავთობის ფასში რისკ-პრემია გაჩნდა და ის \$80-მდე გაიზარდა - 5 თვის უმაღლესი მაჩვენებელი.

თუმცა ფასის ზრდა დროებითი აღმოჩნდა. ივნისის ბოლოს გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტა ისრაელსა და ირანს შორის, რის შემდეგაც ბაზრიდან გეოპოლიტიკური რისკ-პრემია გაქრა. ფასი ივნისის მეორე ნახევარში 14%-ზე მეტად შემცირდა და კონფლიქტით გამოწვეული მატება თითქმის სრულად გააბათილა. ფასზე ასევე ზეწოლა მოახდინა OPEC-ის არაწევრი ქვეყნების წარმოების ზრდამ და აშშ-ში მოთხოვნის შესუსტებამ. კვარტლის ბოლოს ნავთობის ფასი \$60-იან ზონაში იყო, რაც დაახლოებით 10%-ით ნაკლებია პირველი კვარტლის დასასრულთან შედარებით.


მიუხედავად შუალედური მერყეობისა, საერთო ტრენდი ჭარბ მიწოდებასა და სუსტ მოთხოვნას ასახავდა. ისრაელის თავდასხმით გაჩენილი გეოპოლიტიკური რისკ-პრემია ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ სრულად გაქრა და ბაზარი კვლავ ფუნდამენტურ ფაქტორებზე გადაერთო. მომავლისთვის ფასების ზრდას ხელს, სავარაუდოდ, შეუშლის გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება და არა-OPEC ქვეყნების მზარდი მიწოდება.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRN00), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ენერგეტიკა

ბუნებრივი აირი


ბუნებრივი აირის ფასი 15.9%-ით შემცირდა 2კვ25-ში, რაც პირველი კვარტლის ტრენდის გაგრძელებაა. მიუხედავად იმისა, რომ კვარტალი დაბალი მარაგებით დაიწყო, რამდენიმე ფაქტორმა მიწოდების უკმარისობის შიში გაანელა და ევროპული ფასები შეამცირა.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ევროკავშირის გადაწყვეტილება იყო გაზის მარაგების წესების შერბილების შესახებ. აპრილში წვერი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ შესაძლებელია 90%-იანი მარაგების შევსების სამიზნე მაჩვენებლიდან 10პპ-თი გადახვევა ან მისი შესრულება ოქტომბრის დასაწყისის ნაცვლად შემოდგომის ბოლოს. ცვლილება ბაზრის განწყობაზე დადებითად აისახა. პარალელურად, ევროპის მარაგები სტაბილურად ივსებოდა და ივნისის ბოლოსთვის 58.6%-ს მიაღწია (მარტის ბოლოს 33.8% იყო).

გლობალური ბაზრის დინამიკაც ამსუბუქებდა წნეხს. აზიის LNG მოთხოვნა სუსტი დარჩა, განსაკუთრებით ჩინეთში, სადაც სუსტი ეკონომიკა და გაზის ადგილობრივი მიწოდება იმპორტზე მოთხოვნას ამცირებს. 2025 წელს ჩინეთის LNG იმპორტი სავარაუდოდ 6-11%-ით შემცირდება, რაც ბოლო 3 წელიწადში პირველი წლიური კლებაა. წლის პირველ 5 თვეში აზიის LNG იმპორტი შარშანდელთან შედარებით დაახლოებით 6%-ით იყო შემცირებული.


შედეგად, ევროპაში ბუნებრივი აირის ბაზრის ფუნდამენტები კვარტლის განმავლობაში გაუმჯობესდა. მოქნილი პოლიტიკა, ძლიერი მიწოდება და აზიის სუსტი მოთხოვნა ხელს უწყობდა ბალანსს. შესაბამისად, ბუნებრივი აირის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა. ექსტრემალური ამინდის ან გეოპოლიტიკური შოკის არარსებობის პირობებში, ზაფხულში ბაზარი საკმარისად მომარაგებული იქნება. ევროკავშირი კვლავ გეგმავს 90%-იანი მარაგის შევსებას ზამთრისთვის, რაც, ამ ეტაპზე, გეგმიურად მიმდინარეობს.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო

ოქროს ფასი 5.7%-ით გაიზარდა 2კვ25-ში, რაც მისი როგორც უსაფრთხო აქტივის სტატუსს კიდევ უფრო ამყარებს. აპრილის დასაწყისში ოქრომ ახალი ისტორიული მაქსიმუმი დააფიქსირა და დროებით \$3,500-ს გადააჭარბა ერთ უნციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფასის მცირედი კორექცია მოხდა, ივნისში ის კვლავ მაღალ ნიშნულზე - \$3,200-3,300 დიაპაზონში ივაჭრებოდა.


ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ცენტრალური ბანკების მხრიდან ძლიერი მოთხოვნა იყო. რეზერვების ლიკვიდაციის ტრენდი კვლავ გრძელდება და 2025, როგორც ჩანს, ზედიზედ მე-4 წელი იქნება, როდესაც ისინი 1,000 ტონაზე მეტ ოქროს შეიძენენ. ამას ხელს უწყობს დედოლარიზაციის მოთხოვნა და გეოპოლიტიკური რისკების ჰეჯირება. პრეზიდენტ ტრამპის არაპროგნოზირებადი პოლიტიკა და ფედერალურ რეზერვთან დაპირისპირება ასუსტებს დოლარის ნდობას. აშშ-ის გრძელვადიან ფისკალურ მდგომარეობაზე მზარდმა გაურკვევლობამ, მათ შორის, მაღალი ვალისა და დეფიციტის მოლოდინმა, ასევე უბიძგა ცენტრალურ ბანკებს ოქროსკენ.

მოთხოვნა ძლიერი იყო ინვესტორების მხრიდანაც. ახლო აღმოსავლეთში ივნისში გამწვავებულმა კონფლიქტმა და სავაჭრო ომის მუდმივმა შიშმა რისკების მიმართ მგრძნობელობა კიდევ უფრო გაზარდა. ინვესტორები ოქროს მიიჩნევენ ჰეჯირების საშუალებად, როგორც გეოპოლიტიკური რყევების, ასევე ეკონომიკური სისუსტის დროს. კვარტლის განმავლობაში გამოიკვეთა, რომ შესაძლოა აშშ-ში მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება ახლოვდებოდეს, რამაც ოქროს დამატებით ზრდაში უნდა შეუწყოს ხელი.

რეკორდულმა ფასებმა ოქროს სამკაულის მოხმარება შეამცირა. ჩინეთსა და ინდოეთში (ტრადიციულ მომხმარებლებში) ფასებისადმი მგრძნობელობა გაიზარდა. გლობალურად სამკაულის წარმოება სავარაუდოდ 16%-ით შემცირდება 2025 წელს. თუმცა, ეს კლება სრულად კომპენსირდება ინვესტორებისა და ცენტრალური ბანკების მხრიდან გაძლიერებული მოთხოვნით.


ოქროს 2კვ25 დინამიკამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პორტფელში მის როლს, როგორც უსაფრთხო აქტივს. მსგავსი გეოპოლიტიკური და მოთხოვნის წამახალისებელი ფაქტორების განგრძობითობის შემთხვევაში, მისი ფასი შემდეგ კვარტალშიც მაღალ ნიშნულზე უნდა შენარჩუნდეს.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

ამონიუმის ნიტრატის ფასი 1.1%-ით გაიზარდა 2კვ25-ში. სასუქების ბაზარს დაბალი საწარმოო ხარჯები და ძლიერი სეზონურ მოთხოვნა აბალანსებდა. ერთის მხრივ, ბუნებრივი აირის ფასების კლებამ, რაც ამონიუმის ნიტრატის წარმოების მთავარი ინგრედიენტია, მწარმოებლებზე ზეწოლა შეამცირა. მეორეს მხრივ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხულის თესვის სეზონზე მოთხოვნა მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. მომდევნო თვეებში ფასების ამგვარ ნიშნულზე შენარჩუნებაა მოსალოდნელი: ზაფხულის მოთხოვნის შემცირება შესაძლოა მიწოდების რეგულირებით დაბალანსდეს.

ხორბალი


ხორბლის ფასი 11.7%-ით შემცირდა 2კვ25-ში. ხელსაყრელი ამინდი და მთავარ მწარმოებელ რეგიონებში კარგი მოსავალი მიწოდების შიშებს ამცირებდა. გეოპოლიტიკური რისკები, განსაკუთრებით აშშ-ჩინეთის სავაჭრო დაძაბულობა, კვლავ არსებობდა, მაგრამ სერიოზული შეფერხებები არ გამოუწვევია. შავი ზღვის რეგიონის ექსპორტი სტაბილურად შენარჩუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამინდსა და ელ-ნინიოსთან დაკავშირებული რისკები კვლავ აქტიურია, მოსალოდნელი გლობალური მიწოდების ზრდა ფასების სწრაფ ზრდას ხელს შეუშლის.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი




წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

სპილენძის ფასი 4.1%-ით გაიზარდა 2კვ25-ში, თუმცა ბაგარი მალალი მერყეობით გამოირჩეოდა, რაც აშშ-ის სავაჭრო პოლიტიკამ განაპირობა. ახალი ტარიფების შედეგად სპილენძის იმპორტი აშშ-ში მკვეთრად გაიზარდა, რამაც გლობალურ ბაზრებზე ლითონის ნაკლებობა გამოიწვია და LME-ს საწყობების მარაგები მრავალწლიან მინიმუმზე დაიყვანა. მიუხედავად გლობალურად საკმარისი მიწოდებისა, ლოგისტიკურმა დარღვევებმა ფასებზე დისბალანსი შექმნა. სპილენძზე მოთხოვნა კვლავ მალალია ელექტრიფიკაციისა და ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, თუმცა ჩინეთის უძრავი ქონების სუსტი სექტორი ფასების ზრდას ზღუდავს.


ფეროსილიკონი

ევროპული ფეროსილიკონის ფასი 2.8%-ით გაიზარდა 2კვ25-ში, ხოლო ჩინურის 8.7%-ით შემცირდა. ევროპაში ფასების ზრდას ხელს უწყობდა ფოლადის მოთხოვნის ზრდის მოლოდინი, მრეწველობის დარგების დადებითი სენტიმენტი და უკრაინაში შესაძლო ომისშემდგომი აღდგენის პერსპექტივა. ჩინეთში ფოლადის სუსტი მოთხოვნის, ჭარბი წარმოებისა და მთავრობის სტიმულების შეზღუდული ეფექტის ფონზე ფასის კლება გრძელდება. კონტინენტებს შორის განსხვავებული დინამიკა, სავარაუდოდ, მომდევნო კვარტალშიც გაგრძელდება.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



გრაფიკი 14: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაყვლითი ეურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი ღირეცტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტის მიმღებთან დაკავშირებით). ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი ღირეცტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი ღირეცტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი ღირეცტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი ღირეცტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge